ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 164 (18706) ᲙᲕᲘᲠᲐ, 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲞᲣᲠᲡ ᲛᲙᲘᲐᲜ, ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ

ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲡ უნდა შეებრძოლო და რაც შესაძლებელია უნდა გამოსტაცო. ასეთი განწყობით არიან მუდამ ჯაფასა და გარჯაში გამობრძმედილი შირაქელი მექანიზატორები, მემინდვრეები, მევენახეები, მათთან ერთად რაიონის მშრომელები — მუშები და მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა, ისინი ამ განსაცდელ დღეებში კოლმეურნეებს მხარში უდგანან — ბალახს თიბავენ, ვაზს ფურჩნიან, ჭარხალს თოხნიან.

— ამინდი ჩვენ არას გვეკითხება, ძალს არის, თუ წაიჩოქე, წაგაქცევს კიდეც, — გვითხრა ზემოქედელმა მექანიზატორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ მელიქიშვილმა. ის ბურჯივით უდგას თავისი ბრიგადის ბიჭებს, თავადაც მართავს ტრაქტორს, სახიბელას, კომბაინს, მიხეილ ლალიაშვილის, სულიკო სუნტიძის კომბაინებმა ორ დღეში აიღეს ქერის მოსავალი. მანამდე, კი მათთან ერთად ზემოქედელმა მექანიზატორებმა 6.000 ტონამდე თივა და სენაჟი დააგროვეს, გეგმა ღიდი გადამეტებით შეასრულეს.

ზემოქედელებს ტოლს არ უდებენ ჯაფარიძელი მექანიზატორები, საკვებმომპოვებლები. მათ ანგარიშზეა გეგმიურზე გაცილებით მეტი, 3.300 ტონა სენაჟი: თივაც და სილოსიც შარშანდელზე მეტი აქვთ დამზადებული. გიორგი შარმანაზანაშვილის ბრიგადაა ამ საქმის მოთავე, რესპუბლიკაში კარგად ცნობილი, 1982 წელს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული.

რაიონში საკოორდინაციო შტაბია შექმნილი. მას პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. ჭარაქაშვილი ხელმძღვანელობს. შტაბში გაერთიანებული არიან რაიონის ... ბიუროს, რაისაბჭოს აღმასკომის წევრები, სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მთავარი სპეციალისტები. რეგულარულად ტარდება სხდომები, ყოველდღიურად ჯამდება მუშაობის შედეგები.

ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს პარტიის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საბჭომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას უპატაჯა, რომ სენაჟის დამზადების გეგმა შესრულებულია. ნაცვლად 32.000-ისა დამზადებულია 40.000 ტონამდე. ასევე შეგროვილი და დაზვინულია 1.500 ტონა თივა, დიდძალი სამჯა, სილოსი.

ᲕᲚ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა სახით მიიღეს წინსვლის, პროგრესის მკაფიო ორიენტირები. ახლა თავიდათავი ის არის, რომ ყველგან მოეწყოს გრძელვადიანი და გეგმაზომიერი მუშაობა ხალხის შრომითი და სოციალური აქტიურობის გასაძლიერებლად.

სწორედ ეს აბრი, ეს სულისკვეთება იყო დამახასიათებელი მთლიანად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ რამდენიმე დღის წინათ გამართული პლენუმისა, რომელმაც განიხილა საკითხი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის სიტყვის შესაბამისად“. პლენუმზე მოხსენება გააკეთა და საბოლოო სიტყვა ნარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

საქართველოს კომუნისტების წინამძღოლთა ამ ფორუმმა ნათლად გვიჩვენა, თუ რაოდენ აქტუალურია დღეს მთელი ჩვენი იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის საკითხები, თუ რაოდენ საჭირო და დროულია მათზე გულახდილი ბჭობა და საქმის საფუძვლიანი გაუმჯობესებისათვის გულმოდგინე, ყოველდღიური შემოქმედებითი რუდუნება.

მიზანი ხომ ის არის, რომ ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა აყვანილ იქნეს იმ მეტად მასშტაბური, რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც ჩვენი პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებს, რომლებიც მჭიდროდ, განუყრელად არის დაკავშირებული ადამიანთა პოლიტიკურ აღზრდასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა: „დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მკაფიო, გააზრებული სამომავლო ორიენტირების დასახვას, არამედ იმასაც, რომ დავანახვოთ ისინი მილიონობით კომუნისტსა და უპარტიოს, რათა აქტიურად ჩაებან მომავალ მუშაობაში. ეს არის სწორედ იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობა, უწინარეს ყოვლისა, მასებთან პარტიის კავშირის საკითხია“.

რა კონკრეტული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მოთხოვნების მიხედვით?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ დიდი მუშაობა მოგვიანევს როგორც იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, ისე წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფისა და საწარმოო ძალების ზრდის დაჩქარებისათვის.

საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალა კი ადამიანია. აქ, წინა პლანზეა ადამიანი, ზრუნვა მისთვის, მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

სწორედ ადამიანის პრობლემა გაიხადა თავისი მთელი საქმიანობის ქვაკუთხედად საქართველოს კომპარტიამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესრულებაში; სწორედ ფართო მასებთან მჭიდრო კავშირი, მათთან ურთიერთობის ფორმების გამდიდრება, მათთან ერთად ცხოვრების აქტუალური, მომწიფებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტა არის დღეს დამახასიათებელი რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილისათვის. სწორედ ამ გზით არის მიღწეული უკანასკნელი ათწლეულის თვალსაჩინო შედეგები: მნიშვნელოვნად იკლო საშუალო საკავშირო დონისაგან ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენამ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. სწორედ ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივისა და თაოსნობის წახალისებით, მათი აქტიური, ცხოვრებისეული პოზიციის დამკვიდრებისათვის ყოველდღიური ზრუნვით დაიბადა საყოველთაოდ ცნობილი „აბაშური ექსპერიმენტი“, განხორციელდა თბილისელთა, ფოთელთა, მახარაძელთა, გარდაბნელთა და სხვა რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა კეთილი საქმეები.

ყოველივე მიღწეულ-გაკეთებულის, ყველა დადებითი მაგალითის დასახელება შეუძლებელია. მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აზრი და სულისკვეთება დავამყაროთ წესრიგი იმაში, რაც გვაქვს, უზრუნველყოთ საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გონივრული გამოყენება.

თვალსაჩინო დადებითი ძვრების მიუხედავად ნაკლოვანებებია ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავნარმოებაში. დიდი მუშაობა მოგვიანევს, რომ მეტად განვაჯანსაღოთ უამინდობით დაზარალებული სოფლის მეურნეობა, გავადიდოთ მინის სავარგულების, სასუქების, ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობა. დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას. პლენუმმა წამოაყენა მეტად პასუხსაგები და საპატიო ამოცანა: მთელი ჩვენი რესპუბლიკა, მთელი მისი სახალხო მეურნეობა, მისი ყველა რეგიონი გადაექცეოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის პოლიგონად!

როგორც ცნობილია, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს მჭიდროდ უკავშირდება ადამიანთა შრომითი და ყოფითი ურთიერთობის ყველა მხარე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური შეჯიბრების გონივრულ ორგანიზაციას, მორალური და მატერიალური სტიმულების სწორად გამოყენებას, მეტად უნდა ვიზრუნოთ დისციპლინის განმტკიცებისათვის, ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის, უყაირათობის, მფლანგველობის ფაქტების აღკვეთისათვის, ყველგან, ყველა უბანზე ჯანსაღი საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნისათვის.

და ყოველივე ამაში ხომ მეტად დიდია, განსაზღვრელია შრომითი კოლექტივების როლი. სამწუხაროდ, პლენუმის მონაწილეებმა მოიყვანეს კონკრეტული ფაქტები იმისა, როცა შრომითს კოლექტივებში ვხედებით ნაკლისა და დანაშაულისადმი ნაყრუების შემთხვევებს, ხშირად ვერც პირველადი პარტიული ორგანიზაციები გვევლინებიან აქტიურ მებრძოლებად.

ერთი სიტყვით, ყველა ამ და საზოგადოების რთული პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა ყოველმხრივ ამაღლებული, მცოდნე, პარტიის საქმეებში ღრმად დარწმუნებული მშრომელი კაცი. სწორედ ამიტომ მისი შრომითი იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი აღზრდისათვის, ახლებური ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებისათვის, დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის დაჟინებით, გულმოდგინედ უნდა ვეძიოთ როგორც სამეურნეო, ისე სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის უფრო მოქნილი, უფრო ქმედითი ფორმები და მეთოდები.

გადაუდებლად საჭიროა საფუძვლიანად შეიცვალოს მუშაობის სტილი ჩვენი პოლიტიკური განათლების ქსელში. დასამალი როდია, რომ ამ მხრივ საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში არის ფორმალიზმი, მოჩვენებითობა, თვით სწავლება მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის ცოცხალ პრაქტიკასთან. დიდად სასარგებლო იქნება პოლიტიკური სწავლების იმ დადებითი გამოცდილების გავრცელება-დანერგვა, რომელიც თვითონ ჩვენს რესპუბლიკაშია შეძენილი, აგრეთვე ქვეყნის სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების პარტიულ ორგანიზაციებს აქვთ. მაგალითად, ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემებთან თეორიული სწავლების დაახლოებისათვის საუკეთესო შედეგი აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს წევრების, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების პროპაგანდისტებად მუშაობას უშუალოდ შრომითს კოლექტივებში შექმნილ სკოლებში და სემინარებზე.

განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება კადრებს, რომელთა პოლიტიკური მომზადება, საერთო ცოდნა და ერუდიცია, მასების დარწმუნების ხელოვნება მთავარია. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი შემადგენლობა, იდეოლოგიურ მუშაკთა შორის 2,5-ჯერ გაიზარდა სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა რიცხვი, აქტიურად ჩაებნენ აღზრდის საპატიო საქმეში მეცნიერი მუშაკებიც. ენობა მათი სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება, სხვადასხვა მეთოდიკური დახმარება, მაგრამ ნაკლოვანებანი და ხარვეზებიც არის. ბევრ სხვა მიზეზთან ერთად აღსანიშნავია პროპაგანდისტების, პოლიტინფორმატორების, აგიტატორების ხშირი შეცვლა. გადაჭრით უნდა სრულყოთ ლექციური პროპაგანდაც.

იმ მიზნით, რომ მშრომელ მასებს მუდამ ჰქონდეთ ამა თუ იმ საკითხზე სწორი ინფორმაცია, კარგად ერკვეოდნენ კონკრეტულ სიტუაციებში, გულნრფელად ვმსჯელობდეთ მათთან ძნელ პრობლემებზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი აზრის შესწავლის გამოცდილების ფართოდ გამოყენებას. ამ გამოცდილებით ხომ მეტად მდიდარია საქართველოს პარტიული ორგანიზაცია.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე აღინიშნა, „პიროვნებასთან დიალოგი, მისი ქცევის მოტივების ცოდნა და შესწავლა, ადამიანთმცოდნეობის სფეროში ღრმა წვდომა ჩვენთვის აუცილებელია“.

პლენუმზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაეთმო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პრესის ორგანოების აქტუალურ ამოცანებზე საუბარს, დადებითთან ერთად ისიც ითქვა, რომ რედაქციების კოლექტივებს ბევრი რამ აქვთ გასაუმჯობესებელი, დასახვენი, უკუსაგდები. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ზოგჯერ საკითხის ზედაპირულ გაშუქებას, არათანმიმდევრულობას, ეგრეთნოდებული მნვავე საკითხების გვერდის ავლას, გაუბედავ კრიტიკას და სხვ. პარტიული კომიტეტების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენი საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავიანთი პასუხსაგები ამოცანები განუსაზღვრა კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მომსახურების სფეროს მუშაკებს და მათ პარტიულ ორგანიზაციებს, მშენებლებს, კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის მუშაკებს, სკოლამდელი აღზრდისა და სახალხო გაათლების ორგანოებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს — ერთი სიტყვით, ყველა პროფესიის ადამიანებს, რადგან იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ყველამ და ყველგან უნდა გასწიოს, იგი მთელი პარტიის საქმეა.

ახლა, როცა უკვე ხელთა გვაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმის შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების კონკრეტული საბრძოლო პროგრამა, როცა საქართველოს თითოეულ მშრომელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით ადვილად შეუძლია იმოვნოს თავისი ადგილი საერთო გარჯა-შემოქმედებაში, უმთავრესია და არ უნდა დავახანოთ პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სხვა მასალების მათთვის უფრო ღრმად გაცნობა, საფუძვლიანი განმარტება.

ყოველმხრივ მაღალ დონეზე, გულახდილობის, პრინციპულობის, შემოქმედებითი აზროვნების ვითარებაში უნდა წარიმართოს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტის პლენუმები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგებს განიხილავენ.

ასევე მაღალორგანიზებულად, შინაარსიანად და საინტერესოდ უნდა მოეწყოს ერთიანი პოლიტდღეები შრომითს კოლექტივებში, ივნისის პლენუმის მასალების შესწავლას მიეძღვნას მეცადინეობანი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში, მოეწყოს თეორიული კონფერენციები, სიტყვა-პასუხის საღამოები, მთელი რიგი სხვა ნაკადი და ახალი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას.

ჭეშმარიტად დაგვიდგა იდეოლოგიურ მუშაობაში ახალი ეტაპი: ყურადღებით შევაჯამოთ მიღწეული, ღრმად გავაანალიზოთ ამ მხრივ ჩვენი მუშაობა, გავაჩაღოთ ძიებით აღსავსე, შემოქმედებითი საქმიანობა — აი თითოეული ჩვენგანის ამოცანა და ვალი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის, მიმდინარე წლის ექვსი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი 1983 წლის ცხრა თვის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულების ღონისძიებანი.

აქტივის კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. კოლბინმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა.

აქტივის კრებაზე გამოვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ᲗᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ზ. შ. ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ᲯᲐ. ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. Ე. ᲩᲘᲒᲝᲒᲘᲫᲘ, საქართველოს სსრ ხილმოხტნეულის მეურნეობის მინისტრი ᲗᲐ. ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ, საქართველოს სსრ მინისტრი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. ᲨᲐᲜᲪᲘᲫᲔ, პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ᲗᲐ. ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი Ხ. Ე. ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი Დ. Ნ. ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე Ა. Მ. ᲓᲐᲕᲗᲐᲨᲕᲘᲠᲝᲕᲘ, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ᲠᲝ. ᲗᲘ. ᲛᲔᲚᲔᲥᲐᲫᲔ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ᲠᲝ. Ბ. ᲫᲐᲠᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი Ი. Ა. ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲨᲕᲘᲚᲘ, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი Ბ. Ი. ᲕᲐᲜᲩᲘᲜᲙᲝ.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სეკრეტარის გამგე Ვ. Ა. ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲢᲘᲔᲕᲘ. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების „ბახტრიონის“ მეთაური საწარმოს კოლექტივი კარგა ხანია ჩაება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებებსაც აღწევს.

წლის პირველი ნახევრის პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მრავალი ღონისძიება განხორციელდა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. აქ ახლა სოციალისტური შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო. რსდმპ მეორე ყრილობის 80 წლისთავის აღსანიშნავად ბახტრიონელებმა ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. შრომითს მეტოქეობაშიც დაწინაურდა ასობით მუშა.

სურათზე: მეთაური საწარმოს ერთ-ერთი ხაუკეთესო მკერავი მანანა გაფნიძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛ�პᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲖᲔ

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავის მომწყობი საკავშირო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ლენინური პრემიის ლაურეატი პოეტი ე. ა. ისაევი.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დელეგაციისა და საზღვარგარეთელ ლიტერატორთა სახელით, რომლებიც საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობდნენ, ე. ა. ისაევმა გულთბილი მადლობა მოახსენა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის, რესპუბლიკურ საიუბილეო კომისიას ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის ჩინებული ორგანიზაციისათვის. მაიაკოვსკის საკავშირო დღეებმა, აღნიშნა მან, რომლებიც წელს დაემთხვა პოეტის 90 წლისთავს, დღესასწაულის ყველა მონაწილეს გააცნო რესპუბლიკის შრომითი მიღწევები, რომლის აღმავლობა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ იწინასწარმეტყველა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. მისთვის მშობლიური ქართულ მიწა-წყალზე გამართულმა შეხვედრებმა კვლავ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ ძვირფასია საქართველოს მშრომელებისათვის დიდი პოეტის შემოქმედება, როგორ არის ხორცშესხმული მისი პოეზიის ინტერნაციონალისტური პათოსი. წლევანდელ ზეიმს განსაკუთრებული აღმავლობა მიანიჭა გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის ხელმოწერის 200 წლისთავისათვის მზადებამ. მაიაკოვსკი ხომ თვით ამ კავშირის განსახიერებაა: „ერთი ბაბუა მყავს კაზაკი, ერთიც სეზელი, მე კი ქართველი ვარ დამამდებით“ — ასე წერდა იგი თავის თავზე.

მაიაკოვსკში და ქუთაისში გამართული ლიტერატურული საღამოები და მკითხველებთან შეხვედრები, აბაშის ექსპერიმენტის გაცნობა — ყოველივე ეს მდიდარ მასალას აძლევს სიტყვის ოსტატებს, რომლებმაც განსაზღვრეს თავიანთი ადგილი მუშათა მწყობრში.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ქმაყოფილებით აღნიშნა ის დიდი დახმარება, რომელიც საკავშირო საიუბილეო კომისიამ გაუწია რესპუბლიკურ ორგანიზაციებს, საქართველოს მწერალთა კავშირის საიუბილეო დღესასწაულის მოწყობაში. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ მომძე რესპუბლიკების მხატვრული სიტყვის ოსტატთა შორის კვლავაც უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს შემოქმედებითი კონტაქტები, რაც ეროვნული ლიტერატურების ურთიერთმქმედებისა და ურთიერთგამდიდრების, გამოცდილების გაზიარებისა და იმ სასარგებლო მუშაობის განზოგადების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციები ეწევიან.

საუბრის დროს გაუშუქა მრავალმხრივი საქმიანობა, რომელსაც საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ეწევა, რათა განახორციელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, კონკრეტული ამოცანები, რომლებიც დასახული აქვთ რესპუბლიკის შემოქმედების ორგანიზაციებს.

გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოში უფრო ხშირად იმართებოდეს კულტურის ოსტატთა და მწერალთა შეხვედრები, რომლებიც ემსახურება მომძე კულტურების ურთიერთგამდიდრებას, ხელს უწყობს საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. შ. ციციშვილი. (საქინფორმი).

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲕᲐᲜᲨᲘ

ᲕᲐᲜᲘ, (საკ. კორ.). 15 ივლისს მაიაკოვსკის პოეზიის დღეებმა იმერეთის ამ პატარა და ლამაზ რაიონში გადმონაცვლა.

სწორედ ამ დღეს ვანელები აღნიშნავდნენ ტიციან ტაბაძის დაბადების 90 წლისთავს. აქ იყვნენ სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქიდან ჩამოსული წარმომადგენლები, მოსკოველი, მოკავშირე რესპუბლიკების მწერლები და პოეტები. მათ დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაი ადგილები, იყვნენ პატიოსანი რაიკომში. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ანდრიაძე სტუმრებს ესაუბრა რაიონის ეკონომიკაზე, მის აწმყოსა და მომავალზე, შემდეგ მათ გვირგვინებითა და თაიგულებით შეამკეს ტიციან ტაბაძის ძეგლი, იყვნენ პოეტის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში, დაათვალიერეს პოეტის მშობლიური კერა — ტიციან ტაბაძის სახლ-მუზეუში, ამ სახლში ბავშვობა და ყრმობა გაატარა მან თავის ბიძაშვილთან, გალაკტიონთან ერთად.

შემდეგ ზეიმმა ქალაქის ცენტრში, მედიცინის მუშაკთა სახლში გადაინაცვლა. იგი გახსნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ანდრიაძემ. სიტყვით გამოვიდნენ ქუთაისის პედინსტიტუტის დოცენტი ა. ნიკოლეიშვილი, პოეტი ხუტა გაგუა, მწერალი დავით კვიცარიძე, რუსი პოეტები ვლ. სოკოლოვი, ვლ. უვაროვი, მ. სინელნიკოვი, მარინე კულიშოვა, რომლებმაც ისაუბრეს ტ. ტაბაძის შემოქმედებაზე, ტიციან ტაბაძისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის ურთიერთობაზე, დიდი გალაკტიონის უკვდავ პოეზიაზე.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

Ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲣᲠᲘ ᲜᲐᲓᲜᲝᲑᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ფეროშენადნობთა ქარხ

პარტიული ცხოვრება: ვაამოწმებთ შესრულებას

მთა მოწყალებას არ ელის

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პლენუმი

მთაში საუკუნეებით ნაქედი ტრადიციებიდან ბევრი სიკეთე შემოგვრჩა. ერთ-ერთი მათგანია სტუმრის პატივისცემა და სიყვარული. მოძმისა და მეგობრის დაფასება და ერთგულება. ყაზბეგის რაიონის მშრომელები დღეს ერთობ ბევრ საშვილიშვილო საქმეს შეჭიდებიან. ამჟამად მთელი მათი გარჯა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადების ნიშნით მიმდინარეობს. სტუმარმასპინძლობის დიდი ზეიმობა აქედან, დარიალიდან დაიწყება. ყაზბეგელები პირველი მასპინძლები იქნებიან. ამიტომაც სტუმართმოყვარე მოხეველები ზეიმისათვის საგულდაგულოდ ემზადებიან.

ოთხნახევარი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება: „ყაზბეგის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. გამოზდა ხანი. და აი, სულ ახლახან შეიკრიბნენ საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის წევრები, პარტიული აქტივი, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროების ხელმძღვანელები რაიკომის მორიგ მეცამეტე პლენუმზე იმის განსახილველად, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით ხასიათდება განვლილი ოთხწლეული, რა გაკეთდა იქონია და როგორი შედეგები მოგვცა აღნიშნულმა დადგენილებამ რაიონის ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში, სოციალურ და პარტიულ საქმიანობაში.

მომხსენებელი, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გ. შიხაშვილი და კამთის მონაწილენი თავიანთი საუბრის თანმიმდეროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართავთვის. პრაქტიკაში დაინერგა რაიკომის ბიუროს წევრების პირადი კონტაქტები რაიონის მოსახლეობასთან. მათი საჭირბოროტო და პრობლემური საკითხების უფრო ახლო გაცნობისა და გადაჭრის გზების ძიებისათვის. ამგვარმა მუშაობამ კი ყაზბეგის რაიონის თავკაცებს და ყველას თვალნათლივ დაანახვა, რომ შეიძლება მაღალმთიან რაიონში მეცირემიწიანობის დროსაც კი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და მიგრაციის პრობლემის რეგულირება. ამის მკაფიო მაგალითია სოფელ ჯუთიდან ხალხის წასვლის შეჩერება. როგორც ცნობილია, არსებობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ჯუთელების წითელწყაროს რაიონში დასახლებას. ორწლიანი მუშაობის შედეგად და იმის გათვალენით, რომ პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული სოფლის განაშენიანება, საბაგირო გზის გაყვანა, მოსახლეობამ ბარში წასვლა გადაიფიქრა და ადგილზე დარჩა.

პერსპექტიული გეგმის ეფექტიანობა იმით გამოიხატება, რომ ოთხ წელიწადში 54 ობიექტი აშენდა. ესენია ფარეხები და მწყემსთა საცხოვრებელი ბინები, 420-ადგილიანი ტურისტული სასტუმრო, ექიმთა სახლი, მასწავლებელთა სახლები, სასოფლო საბჭოს შენობა გორისციხეში, ბიბლიოთეკა სოფელ სნოში, გორისციხის რვაწლიანი სკოლა, ათი საკლასო ოთახი მიაშენეს ყაზბეგის საშუალო სკოლას. ყაზბეგელები ახლა ტელეგადაცემებს მოსკოვიდანაც ხედავენ, ცდილობდნენ არ ყოფილიყო ფორმალიზმი მათს გამოსვლებში, ისე როგორც მოიითხოვა ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა.

როგორც მომხსენებელმა პლენუმზე განაცხადა, მთის რაიონებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მთის ბიუროს შემოქმედებითი, ყოველდღიური და კონკრეტული დახმარება რომ არა, ოცნებაც კი არ შეიძლებოდა პერსპექტიული

შედეგები დამაჯერებელია

გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე.

განსაკუთრებით საგულისხმოა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელების, რესპუბლიკის მთავრობის წევრების დიდი დაინტერესებ, პრობლემების უშუალოდ ადგილებზე გაცნობა, ამ საქმეში შესაბამისი სამინისტროების და უწყებების მონაწილეობა, დროული და კონკრეტული ზომების მიღება.

— ჩვენთვის ესოდენ ხელსაყრელი დადგენილების განხორციელებისათვის ზრუნვა იმით დავიწყეთ, — ითქვა პლენუმზე, — რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეიმუშავა პროგრამა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსის პროპაგანდისათვის, მთის რეგიონების ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, კერძოდ, მეცხვარეებმა მიაღწიეს. მაგრამ კიდევ ერთხელ გამაფრთხილებლად გაიხსენეს ყიზლარის შარშანდელი ზარალი, როცა რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დიდძალი ცხვარი დაკარგეს.

კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივნის გ. შიხაშვილის მოხსენება. სიტყვაში გამოსული პლენუმის წევრებიც ამ კურსს გაჰყვენ. პლენუმზე სჯა-ბაასის სულისკვეთება ის იყო, რომ ეფექტიანად გამოიყენონ ადგილობრივი რეზერვები და საშუალებანი, რომ განსაკუთრებით მეცხოველეობის ფერმებში გაიზარდოს პარტიული გავლენა. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა ძალიან ბევრი გააკეთეს ყაზბეგელებისათვის, მაგრამ კრიტიკული შენიშვნებიც გამოითქვა.

ნ. ქუშაშვილი (ადგილმრეწვის კომბინატის მუშა): ცუდ შენობაში გვიხდება მუშაობა, არა გვაქვს გასახდელი, საშხაპე, ქვის სახერხი ქარხანა წელს უნდა ამუშავებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ჩონჩხია შეკრული, შიგნით კი არაფერი გაკეთებული.

ი. ფიცხელაური (რაიონის მთავარი ექიმი): საჭირო იქნება რაიონის საავადმყოფოს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, რათა ჩვენი მშრომელი ორკონიკიძეში არ მიდიოდეს სამკურნალოდ, კარგი იქნება, თუ ლიმიტები გვექნებოდა სამედიცინო ინსტიტუტში და სამედიცინო სასწავლებლებში...

გ. ავსაჯანიშვილი (გორისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.): „საქკოლმშენი“ თითქოს სხვისთვის დედაა და ჩვენთვის დედინაცვალი. ორი ფარეხი აგვიშენეს. კიდევ კარგი დიდი თოვლი არ მოსულა, თორემ, ალბათ, სადაც ბოლოს ჩაინგრეოდა. ცხვარი რომ დაიღუპოს, ვინ აგებს პასუხს? ცხვრის გადასარეკ ტრასასაც უნდა მივხედოთ!

გ. მარსაგიშვილი (საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი): ყიზლარში, დაბა კოჩუბეიში, აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, იგი სპეციალისტებით ვერ დაკაკმაყოფილეთ, ცხელი წყალიც არ არის.

ნ. ფალაძე (ყიზლარის ზამთრის საძოვრების გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი): საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი კარგად ვერ მუშაობდა. პარტიულმა კომიტეტმა იმსჯელა, უფროსი გავათავისუფლეთ. ცხელი წყალი იმიტომ არ არის, რომ ის ქვაში არ დაამონტაჟეს, რომელიც საჭირო იყო. სწორედ დღეს იქ თბილისიდან ჩავიდნენ ამხანაგები, რომლებმაც ეს და სხვა საკითხები უნდა მოაგვარონ.

გ. სუჯაშვილი (ყაზბეგის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე): რაიონული ცენტრის კანალიზაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა შედგენილია. მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, შეფერხდა საბინაო მშენებლობა — ჩვენ იმაზე მეტი ბუნებრივი გაზი დაეხარჯეთ, ვიდრე გვეკუთვნოდა, კარგი იქნებოდა, ახალი საქვაბე გაგვეკეთებინა ცენტრალური გათბობისათვის. ეს დიდძალ გაზს დაგვიზოგავდა.

პლენუმზე წამოჭრილ ამგვარ საკითხებზე ამომწურავ პასუხებს იძლეოდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები.

ა. ქირია (საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე): ქვის სახერხი ქარხნის მშენებლობა რთული საქმეა. მარტო საწარმოო კორპუსმა 1800 კვადრატული მეტრი უნდა დაიჭიროს. მთლიანად 2 მილიონი მანეთი დაჯდება. 6 კილომეტრი სიგრძის გზა უნდა გავიყვანოთ კარიერამდე. მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა სანეპიდსადგურის მითითებით დაიკეტა და ასეც უნდა მომზდარიყო. ჩვენ გადავწყვიტეთ აქაც ისეთივე კორპუსი დავდგათ, როგორიც ქვის სახერხი ქარხანა იქნება. ასე რომ, აქ დიდი სამრეწველო უბანი შეიქმნება.

კ. გეგელაშვილი (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე): უნდა გაკეთდეს რაიონული საავადმყოფოს რეკონსტრუქცია, ეს ფაქტობრივად ახალი საავადმყოფო იქნება; ყაზბეგის რაიონს არავინ დაუჭერს ლიმიტებს არც სამედიცინო ინსტიტუტში და არც ტექნიკუმში.

ო. მხეიძე (საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე): ჩვენ დიდი ყურადღებით ვეკიდებით საქართველოს სამხედრო გზის კეთილმოწყობას. ამ საქმეებს ვუკავშირებთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. უნდა დაიხარჯოს სულ 40 მილიონი მანეთი. ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე — 10 მილიონი მანეთი.

გაგვიჭირდება ადგილობრივი გზებისა და ხიდების გაკეთება. ჩვენი წინაპრები მშვენიერ ქვის ხიდებს აკეთებდნენ. ეს ტრადიცია უნდა აღვადგინოთ.

ო. ქავთარაძე (საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე) ყაზბეგში სამი თორმეტბინიანი სახლი უნდა ავაშენოთ, უნდა გავაკეთოთ აგრეთვე წყალსადენი, პროექტი მზად არის.

ე. რჩეულიშვილი (მთავარწყალმშენის სამმართველოს უფროსის მოადგილე): მდინარე სნოს ნაპირების გამაგრებაზე ვშრომობთ. ჩვენ გვესმის, რომ ეს ობიექტი ძალიან სჭირდება რაიონს. მშენებლობა გრაფიკით მიდის.

ნ. მეფარიშვილი (საქართველოს სსრ სასოფლო სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე): მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მეცხვარეობას. 320 მწყემსიდან 100-ზე მეტი დაქირავებული გვყავს. რა მოგებაზე უნდა ვილაპარაკოთ ასეთ დროს.! ცხვრის გადასარეკ ტრასებს მალე მოვლენ. ახლა კიდევ ვაზუსტებთ მასალებს. ამ საკითხს უყურადღებოდ არ დავტოვებთ.

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის ეს პლენუმი იმიტომ მიგვაჩნია საყურადღებო მოგლენად რაიონის ცხოვრებაში რომ ამგვარი, ყაზბეგისათვის მასშტაბის საქმიანი საუბარი გაიმართა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კონტროლზმა მკითხველთან ერთად

წერილებზე

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველები რედაქციას სწერდნენ: თბილისის საგალანტერეო საწარმოო გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ამირან იოსების ძე ლომიშვილმა თბილისში ქობულეთისა და ბარისახოს ქუჩებზე უკანონოდ შეიძინა საცხოვრებელი ბინები, უწერის ქუჩაზე კი შემოიღობა საბჭოთა მეურნეობის კუთვნილი მიწა და შიგ საცხოვრებელი სახლი ააშენაო, ლომიშვილი ამ მაქინაციებისათვის მეუღლესთან ფიქციურად განქორწინდაო.

ამის თაობაზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ნეფედოვმა რედაქციას აცნობა:

წერილის შესწავლისას გამოირკვა, რომ ანალოგიური საჩივარი შეუსწავლია პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომს და ფაქტები მთლიანად დადასტურებულა.

მუშაობაში დაშვებული შეცდომისა და კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელისათვის ა. ი. ლომიშვილი განთავისუფლებულია სამსახურიდან, მისი პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი კი უახლოეს ხანში განიხილება.

* * *

ზერილში, რომელიც რედაქციამ ქუთაისიდან მიიღო, ამბილებდნენ სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ ბაგა-ბაღის გამგის ლ. დ. მამარდაშვილის, ბუღალტრის ნ. ს. კახიძისა და მნე ე. ა. შუღლაძის მიერ სახელმწიფო ქონების მითვისებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტებს. ამავე წერილში ეწერა, ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს მათი საქმე ობიექტურად არ განიხილაო...

ამის გამო პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ რედაქციას აცნობა:

ქუთაისის ლენინის რაიონის პროკურატურამ ლ. დ. მამარდაშვილის, ნ. ს. კახიძისა და ე. ა. შუღლაძის სისხლის სამართლის საქმე დამატებით შეისწავლა, რომელიც დაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის მეორე ნაწილით (სახელმწიფო ქონების ჯგუფური დატაცება) და 191-ე მუხლით (სამსახურებრივი ბიუჯეტი) საქმე ხელმეორედ განსახილველად გადაეცა ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს.

სოფელ ურთის მშრომელთა კოლექტიურ წერილში მხილებული იყო ამავე სოფლის საფეტელაოს და საქირიოს უბნების სავაჭრო მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებები.

ამის თაობაზე პარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანმა მ. არდიამ რედაქციას აცნობა:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საფეტელაოს და ხაქირიოს უბნებს ემსახურებოდა სავაჭრო კიოსკი, რომელიც კერძო ბინაში იყო მოთავსებული. რაიონის სავაჭრო ქსელის ახალი დისლოკაციის დამტკიცების შემდეგ კერძო ბინაში არსებული სავაჭრო კიოსკი გაუქმდა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას დაეჭვა ახალი სავაჭრო ობიექტის აშენება. მშენებლობა დაიწყო 1982 წელს, მაგრამ იმის გამო, რომ მშენებლები ვერ მარაგდებოდნენ სათანადო მასალებით, მშენებლობა საგრძნობლად გაჭიანურდა.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მაღაზიის მშენებლობა განახლდა. მისი დამთავრება გათვალისწინებულია უახლოეს დღეებში. ამ ობიექტის მშენებლობას პარტიის რაიკომმა დაუწესა კონტროლი.

* * *

ლენინგორელი მოქალაქე ზ. გრძელიშვილი რედაქციას დახმარებას სთხოვდა საბინაო პირობების გაუმჯობესების თაობაზე.

ამის გამო პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. თინიკაშვილმა რედაქციას აცნობა:

ლენინგორის რაიხაბჭოს აღმასკომმა იმსჯელა ზ. გრძელიშვილის საბინაო პირობების გაუმჯობესების თაობაზე და მისი თხოვნა დაკმაყოფილა — გამოუყო კომუნალური საცხოვრებელი ბინა.

* * *

თბილისში მცხოვრები თ. მეგუთნიშვილი გვწერდა, თელავის რაიონის სოფელ წინანდალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა უკვდავსაყოფად აღმართული ობელისკი უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ამის შესახებ პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაძემ რედაქციას აცნობა:

წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ობელისკი საკმაოდ პრიმიტიულია, იგი რამდენიმე ათეული წლის წინათ დაუდგამთ.

წინანდლის ხასოფლო საბჭოს აღმასკომს და საბჭოთა მეურნეობის დირექციას დაეკალა: უმოკლეს დროში შეაკეთონ ობელისკი, გაუკეთონ სათანადო წარწერა და კეთილმოაწყონ მისი ახლომახლო ტერიტორია. სამომავლოდ კი არსებული ობელისკი შეცვალონ თანამედროვე ძეგლით.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს ინდუსტრია: ექვსი თვის შედეგები

1983 წლის იანვარ-ივნისში რესპუბლიკის მრეწველობის მიერ ძირითადი მაჩვენებლების მიღწევის გეგმის შესრულების შესახებ

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების პროცენტი	სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების პროცენტი	1983 წლის იანვარ-ივნისი: პროცენტებით 1982 წ. იანვარ-ივნისთან შედარებით			
			წარმოება			
			მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით		ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილი პროდუქციის მთლიანობაში პროც.
სულ რესპუბლიკაში	102,2	102,9	105,4	104,8	14,9	
აფხაზეთის ასსრ	103,7	103,8	105,2	104,6	4,4	
აჭარის ასსრ	101,7	103,0	105,6	105,6	24,4	
საბჭოთა ოსეთის აო	102,5	106,7	111,1	106,0	16,1	
ქალაქები:						
თბილისი	102,0	102,3	108,5	107,4	16,4	
ქუთაისი	102,8	102,3	103,3	103,0	34,4	
ფოთი	116,5	118,2	112,1	111,6	8,7	
ჭიათურა	102,8	103,9	105,3	103,3	43,5	
რუსთავი	99,4	99,7	104,8	103,9	23,7	
გორი	102,5	101,8	105,0	105,1	23,5	
ტყიბული	103,1	106,4	102,5	103,3	6,3	
ზუგდიდი	102,9	104,9	104,2	103,6	6,9	
წყალტუბო	105,1	102,4	128,0	121,1	8,6	
რაიონები:						
აბაშის	104,9	104,5	108,5	103,4	0,4	
ადიგენის	101,6	107,2	187,1	177,2	—	
ამბროლაურის	101,9	100,9	94,4	98,0	2,0	
ასპინძის	88,7	95,6	90,4	81,5	—	
ახალქალაქის	105,2	103,5	106,5	105,5	13,6	
ახალციხის	98,6	102,9	105,5	105,9	—	
ახმეტის	104,8	106,1	89,9	83,0	5,3	
გოგებანოვკის	112,2	103,9	109,0	108,4	0,2	
გოლინისის	103,8	104,5	94,7	98,7	2,6	
გორჯომის	93,9	100,9	103,4	100,2	7,9	
ვანის	121,3	105,1	86,1	86,1	—	
გარდაბნის	96,6	102,5	105,4	107,6	0,4	
გეგეჭკორის	90,4	109,0	123,0	102,8	0,4	
გორის	103,0	104,6	100,0	99,1	1,2	
გურჯაანის	104,5	102,2	78,4	76,8	0,1	
დმანისის	104,1	107,9	176,7	158,9	—	
დუშეთის	112,6	108,6	76,6	77,0	22,5	
ზესტაფონის	104,2	102,3	92,3	92,5	34,4	
ზუგდიდის	101,6	101,9	175,2	149,4	—	
ყაზბეგის	96,4	117,6	119,0	105,4	10,1	
ქარელის	104,9	107,3	132,6	132,2	0,1	
კასპის	101,4	100,8	95,4	97,0	21,4	
ყვარლის	103,4	102,7	73,9	80,2	—	
ლაგოდეხის	104,5	103,6	100,8	90,3	0,3	
ლანჩხუთის	101,8	104,1	102,3	103,4	0,6	
ლენტეხის	97,7	104,9	103,6	97,9	8,8	
მარნეულის	100,6	103,0	103,7	102,0	6,5	
მახარაძის	100,97	103,1	107,2	106,4	2,8	
მაიაკოვსკის	105,5	105,0	104,0	106,8	3,4	
მესტიის	102,7	103,5	129,6	134,5	4,5	
მცხეთის	100,9	102,9	90,9	88,2	6,5	
ონის	95,7	140,4	86,5	94,0	29,1	
ორჯონიკიძის	100,4	102,3	77,3	82,1	12,8	
საბარეჯოს	105,7	104,8	121,6	107,2	1,1	
სამტრედიის	102,8	104,0	106,9	107,2	6,2	
სარკოლის	99,97	104,1	143,6	102,7	0,4	
სილაღაძის	107,5	102,1	113,5	111,0	9,3	
თელავის	105,0	102,5	88,6	86,0	5,5	
თერჯოლის	104,2	104,4	85,6	85,2	2,2	
თეთრი წყაროს	102,4	117,5	114,0	105,6	2,4	
თიანეთის	102,0	104,7	95,9	141,1	—	
ხაშურის	100,7	102,6	98,4	99,0	21,4	
ხობის	101,0	102,6	107,0	102,2	—	
ცაგერის	106,5	110,8	163,1	153,3	—	
წალენჯიხის	107,3	103,4	103,0	101,9	0,6	
წალკის	106,8	104,2	63,0	64,7	—	
წითელწყაროს	107,1	106,8	90,4	93,1	—	
წულუკიძის	104,2	102,6	111,1	108,1	0,5	
ცხინვალის	101,8	102,6	98,8	93,4	1,0	
ჩოხატაურის	106,1	105,8	90,8	91,5	0,4	
ჩხოროწყუს	102,0	108,0	142,0	108,3	—	

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის იანვარ-ივნისის გეგმები შეასრულა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების დიდმა უმრავლესობამ ქალაქ რუსთავის, ასპინძის, ახალციხის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, ლენტეხის, ონის, საჩხერის რაიონების გარდა.

სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებას თავი გაართვეს აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, რესპუბლიკის ქალაქებმა და რაიონებმა ქალაქ რუსთავისა და ასპინძის რაიონის გარდა. გასული წლის იანვარ-ივნისთან შედარებით რამდენადმე შემაცირეს წარმოების მოცულობა ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოლნისის, ვანის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, კასპის, ყვარლის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, ხაშურის, წალკის, წითელწყაროს, ცხინვალის, ჩოხატაურის რაიონების საწარმოებმა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით ჩამორჩნენ ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოლნისის, ვანის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, თელავის, თერჯოლის, ხაშურის, წალკის, წითელწყაროს, ცხინვალის, ჩოხატაურის რაიონები.

დაბალია ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ქალაქების ზუგდიდის, ტყიბულის, წყალტუბოს, გარდაბნის, ქარელის, გურჯაანის, ლანჩხუთის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, თერჯოლის რაიონების საწარმოებში. (საქინფორმი).

გადაეცათ სიგელები

კომუნისტური აღზრდისა და მშრომელთა ორგანიზაციის ქმედითი ინსტრუმენტი უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს. ჩვენი რესპუბლიკის სხვა წამყვან პერიოდულ გამოცემებთან ერთად ეს თანაბრად ეხება როგორც გაზეთ „სოფლის ცხოვრებას“, ისე ჟურნალ „ნიანგსაც“. კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნოემბრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით ამ პოპულარულ გამოცემებს მიენიჭათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

15 ივლისს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ ეს სიგელები გადასცა გაზეთისა და ჟურნალის წარმომადგენლებს. ესოდენ მაღალი ჯილდოები, აგრეთვე სიგელები „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ გადაეცათ ორივე რედაქციის მუშაკებს, რომლებიც დიდი ხანია ნაყოფიერად მუშაობენ მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში.

მეოთხედი საუკუნე გავიდა საქართველოს სსრ საცირკო კოლექტივის დაარსების დღიდან. მისი წვლილი საბჭოთა საცირკო ხელოვნების განვითარებაში აღინიშნა „დამსახურებული კოლექტივის“ წოდებით, ახლა კი, 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითაც. ამ წვლილისათვის, ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის ცირკის მსახიობთა ჯგუფს გადაეცა სიგელები რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული არტისტის, კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულმა ამხანაგებმა მხურვალე მადლობა გადაიხადეს თავიანთი და იმ კოლექტივების შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ვ. მ. სირაძემ სიგელების გადაცემისას გულითადად მიულოცა მათ, უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებები მუშაობაში, ჯანმრთელობა და ბედნიერება. (საქინფორმი).

შრომითი სემესტრი

ხიდი ცხოვრებასა და ცოდნას შორის

უვარლის რაიონის სოფელ გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ემზარ კვლაშვილი თვითონ უზის მანქანის საჭეს და ალაზნისპირა ზვრებს გვათვალიერებინებს... ცდილობს, ძირი-ძირობამდე მოგვატაროს მეურნეობის 730 ჰექტარი ვენახი, გვიჩვენოს, როგორ უშუშებს მეზვრე ვაზს სტიქიით მოყენებულ ჭრილობებს! ენაწყლიანობს და ათას საინტერესო ამბავს გვიყვება მევენახეთა შემართებაზე; მათს დაუზარებლობასა და „ჭირსა შიგან გამაგრებაზე“.

არც მერცხალი ავიწყდება მეურნეობის დირექტორს: ერთგული მეგობარია მეზვრისა. მთელი გაზაფხულ-ზაფხული მასთან ერთად ტრიალებს და მუსრს ავლებს ჭიის ჰეპელასა თუ ვაზის სხვა მავნე პარაზიტებს. შემოდგომაზე კი მტევანი რომ შეითვალება და „ჰაერიც ჩამაჭრდება“, გუნდის თავი ერთადერთ კუმპალს გასინჯავს, მეზვრეს ბარაქიან რთველს „უსურვებს“, ცაში ჭიკჭიკით მტრიალდება და სამხრეთისაკენ გაიყოლიებს თანამოძმეთ. რთვლისას ისინი არ ბრუნდებიან...

ამ ნათქვამში სხვა ქვეტექსტიც მენიშნა: ჩიტი რომ ჩიტი, ისიც კი წაუშველება მეზვრეს და, ადამიანს ხომ მეტი მოეთხოვება....

მანქანა საურმეზე გაიჩერა ემზარმა, გადმოვიდა და № 4 ბრიგადის ბრიგადირს, გურამ ჩაბრაშვილს უხმო.

— სად არიან შენი მერცხლები? — ჰკითხა და იქვე, ვაზთან ჩაიმუხლა. რატომღაც ცას ავხედე... გვიან ჩავხვდი ნათქვამს.

ბრიგადირმა კი, არც დაფიქრებულა, — ვენახის ბოლოსკენ გაიწვდინა ხელი...

მართლაც მერცხლებივით თვალგატეხილა გოგო-ბიჭები დაგვიხვდნენ ვენახის ბოლოში. დილაუთენია შესულიყვნენ ვაზს, და, გულს ახარებდა მათი საქმიანი ფუსფუსი.

აქ, გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, დაბანაკებულია თბილისის 31-ე საშუალო (სკოლის დირექტორი გ. სოსელია) მეცხრეკლასელთა შრომითი რაზმი. საცხოვრებლად გრემის საშუალო სკოლის შენობა აურჩევიათ.

„ვინ სწრაფად, ვინ უკეთესადო!“ — უთქვამთ იმთავითვე და, გურამ ჩაბრაშვილს რომ ჰკითხოთ, უჭირს კიდეც მათ შორის სხვებზე ბეჯითის გამორჩევა. ვერ დავიჯერებდი, — ამბობს ბრიგადირი, თბილისელ, მიწას მიუჩვეველ გოგო-ბიჭებს, ასე თუ შეუყვარდებოდათ აქაურობა.

— ისინი ოცდაათნი არიან. შრომითი ბანაკის უფროსი, 31-ე საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ნანა ნებიერიძეც მათთან ერთად ტრიალებს ვენახში.

რაზმი 12 ივნისს ჩამოსულა გრემში. რაღაც ერთი კვირა და... ბავშვები გულამომჯადარი ტიროდნენ თურმე დასტყვილ ზვრებში. ისევ მრავლისმომსწრე მევენახეებს გაუმზნევებიათ ბავშვები — ასეთ დროს მეტი გარჯა გვმართებს, ტირილით საქმეს არა ეშველება რაო. ახა, ხელები დაიკაპიწეთ, მხარში ამოგვიდექით, ერთად ვიყოჩაღოთ და, ის მაინც შეეინარჩუნოთ, რაც სტყვამ გადურჩაო!.. იმოქმედა ბავშვებზე ამ შეგონებამ, — მართლაც დაიკაპიწეს ხელები, დილაუთენია გავიდნენ ზვარში და... სულ მალე აქაურთა ნდობა და სიყვარულიც დაიმსახურეს.

— ბავშვებმა ცხოვრება, მიწისა და შრომის ყადრი უნდა იცოდნენ. ილია ბრძანებდა, არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა არგია ქვეყანასო, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი და, მართალიც არის.

— შრომითი ბანაკები, ისევ ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, — დასძენს სკოლის დირექტორი, — ხიდია ცოდნასა და ცხოვრებას შორის. ეს ხიდი არ უნდა ჩატყდეს!... წიგნიერების მოძღვრები ჩვენა ვართ პედაგოგები, ცხოვრებისა კი, აი, ესენი, და მეურნეობის ხელმძღვანელებმა გვითითებს.

ჩვენს შეკითხვაზე ბანაკის უფროსს უჭირს მოწინავეთა დასახელება. გივი აფციაური, თამარ ქართველიშვილი, თამარ გოგიშვილი, ხათუნა ჯიჯიაშვილი, მაია ვართანოვი, ქეთევან ქობულია, მაია ბეღიშვილი... რომელი ერთი დასახელოს?

ნ. ნებიერიძის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ განათლების სამინისტრო ერთგვარ შეფასებას, ან

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

ბედი ქართლისა

ბედგამარჯებული დავით გურამიშვილი, წამით არ მოსცილებია სამშობლოს, უცხოობაში თავი ედო სასთუმალზე, თორემ სულითა და გულით, აზრითა და გონებით საქართველოს დასტრიალებდა მისი პიროვნებაცა და პოეტური გენიაც. ამიტომაც გამოგზავნა საქართველოში „დავითიანი“ — თუ უძლური სხეულს სამშობლოს მიწამდე ვერ მოიტანდა, სული მაინც დაბრუნებოდა ადგილის დედას.

ამიტომ, ვისაც „ბედი ქართლისას“ ჩაწვდომა სწადს, ჯერ გულდაგულ „ქართლის ჭირს“ ჩაჯდეს.

რამდენი ისტორიკოსი და ჟამთა აღმწერელიც უნდა შეიკრიბოს, რაგინდ ბრძენნი და სწავლულნი, რა ზომის წიგნებიც უნდა დაწერონ, ქართლის ჭირსა და ვარამს „ვერვინ მოსთვლის“. გურამიშვილზე უკეთ ვინ თქვა ჩვენი გარდასული სატკივარი. აქეთ ოსმალო მოგვადგა და იქეთ სპარსი, უკან, ზურგში ჩატოვებული ხანჯალივით, ათასი ქუდი და მაწანწალა. ამ ვარამის მოშსწრე გურამიშვილმა, თითქოს თვალზე ხელი აიფარა და ამოიგმინა:

„სუნით მოიცვა მთა-ბარი
ჩვენი მკვდრის მძორთა
ყროლამაო!“

წასაკითხადაც ამაზრზენია!

ყველა ჩვენი მტერი ხომ სულ იმას ნატრობდა — „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემო“ და აუხდინა მტერს ნატვრა ღმერთმა. აევშალეთ ერთმანეთსა და ერთის აღმა ხნული, მეორემ დაღმა ფარცხა.

● რესპუბლიკის ელექტროსადგურები ყოველწლიურად 15 მილიარდ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას — თითქმის ათასჯერ მეტს იძლევიან ვიდრე 1923 წელს.

● დღეს საქართველო ერთ დღეში აწარმოებს 14-ჯერ მეტ ლითონსაჭრელ ჩარხებს, ვიდრე მთელი საბჭოთა კავშირი უშვებდა 1922 წელს.

● ვიღებთ მთელ ჩვენ ქვეყანაში მოპოვებულის მანგანუმის 30 პროცენტზე მეტს.

● საქართველოს წილად მოდის სსრ კავშირში წარმოებული ელმავლების 31 პროცენტი.

● ჩვენში 2000-ზე მეტი დასახელების ნაწარმს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ამშვენებს.

● სსრ კავშირის 78,7 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან საქართველოს წილად მოდის 66,8 ათასი ჰექტარი.

● რესპუბლიკაში 1982 წელს მოიკრიფა 538 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

● გასულ, 1982 წელს ეროვნულმა შემოსავალმა 2.300 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

И божья благодать сошла
На Грузию! она цвела,
С тех пор в тени
своих садов
Не опасался врагов,
За гранью дружеских
штыков».

აირია მტერი და მოყვარე, მაგრამ გული, ამირანის გული ყვავ-ყორნის ნაგლეჯი რაღაც მანქანებით „ისევ მთელდებოდა“.

ჩვენთვის, ქართველებისათვის და ჩვენი მეზობლების — სომხებისთვის, ქრისტიანობისათვის სისხლსღვრა ეკლესიის გადასარჩენად კი არ იყო მარტო, ეს სამშობლოსათვის ბრძოლა იყო სამკვდრო-სასიცოცხლო. მამაჩემი იტყოდა, ჰაოსი და ქართლოსი ძმებია, მოდი, იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც ეს პირველად თქვაო!

ხშირად ვიმეორებ ამას. ამას წინათ ვთქვი ეს ერევანში. ადგა ერთი ჯალარა კაცი, მომიახლოდა, შუბლზე მაკოცა და მითხრა: „ვინც ეს იცის, ჩვენი უკვდავებაც იცისო!“ ჩვენში სარწმუნოებისათვის ბრძოლისა და სამშობლოსათვის ბრძოლის იდეა იდენტური იყო. ამიტომაც დაიძრა ქართველთა ელჩობა რუსეთში. ძნელი და მძიმე იყო ეს გზა, მაგრამ გაცილებით იოლი და სამოყვრო, ვიდრე ისპაანის და ოსმალეთისა...

ქართლოსიანთა ყურთასმენას შორიდან იმედს ჰგვრიდა ერთმორწმუნეთა ზარების ხმა. სამართლიან შიშს — მინარეთებით სავსე ალმოსავლეთის ზეცა...

...გაჩანაგდა ჩვენი გლეხობა... მიწის კვნესას ჰგავდა გუთნისდედის სიმღერა.

ხსნიდა მადლიანი მიწა მკერდს და ბელტს მარილივით ეღვენთებოდა ოფლი, მიწასაც სტკოდა გუთნისდედის სატკივარი.

მღეროდა გუთნისდედა — „საწუთროზე მომდურავი“, მაგრამ რა?.. რა — ასე გიმღერია და რა — გიტარია: „ამილაზვარიანთ ყმობითა პური ვერ დავდგი კოდითა, ვერ გამოვკვები ცოლ-შვილი...“

ბოლოს ერთადერთი ქომაგი ჰყავდა ქართველ გლეხს — კახთ ბატონი ერეკლე... „ერთი პატარა კახია, ჯაკვის პერანგი ჩაიცვეს, ხელი გაჰკრა და გახია“... ასე მოეფერა ხალხი სათაყვანებელ გმირს.

გაცვდა ხმალი და გათავდა ვაჟკაცი, გაჭირდა ქუდზე კაცის გასვლა (ჯერ ასეთი შობილიზაცია თუ გუგონია ვინმეს).

ასჯერ მითქვამს და თქმა არ მომწყინდება: უიარაღოს (არც ასეთი ფსევდონიმი აქვს, ალბათ, ქვეყნად ვინმეს) პატარა მოთხრობაში გლეხი კაცი ნატრობს: „ღმერთო, იმას მომასწარი, ქართველი კაცი ყანაში უთოფოდ წასულიყოსო“.

„ბაკურის ციხესთან“ მოთარეშე არ იყო მოლეული, ანაკლიასთან დედა მიჰკიოდა გასაყიდად ქერდს მოგლეჯილ შვილს.

ცეცხლი და მახვილი, ცეცხლი და მახვილი!... ცრემლად და სისხლად იღვრებოდა და იცლებოდა საქართველო...

ღრმად მოხუცი იყო ერეკლე მეფე — ხმალი ეპყრა და ცხენზე იჯდა!

ამ ასაკში ევროპის იმპერატორები ან მარმარილოს სარკოფაგებში განისვენებდნენ, ან ბრინჯაოში ჩამოსხმულნი დედაქალაქების მოედნებს აშშვენებდნენ... „ბედი ქართლისაში“ ბრძენ სოლომონ ლეონიძეს ეუბნება ერეკლე მეორე: „დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფეს!“.

ეს შორსმჭვრეტელობაა და არა, წინასწარმეტყველება. რუსეთის იმპერიის **სასაზღვრო პოლიტიკა** მოითხოვდა სტაბილურ და პრივილეგირებულ მდგომარეობას. რუსეთისათვის „საზღვრის გადაწევის“ აუცილებლობა აშკარა იყო.

ჩვენთვის კი მთავარი იყო ხალხს დაესვენა. ასე ფიქრობდა ყველა ერისკაცი, რუსიცა და ქართველიც.

მალე დაეტყო საქართველოს უაბჯრო და უთოფო გუთნისდედის მადლი. სული მოითქვა ჩვენმა კაცმა, იხარა ბაღ-ვენახმა, აკვნებს უშიშრად უსხდნენ დედები.

1839 წელს დაწერა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, „რომ გადმოხედო ახლა ქართლსა, შენ პირმშოშვილსა“.

1839 წელს დაწერა მიხეილ ლერმონტოვმაც „მწირი“:

სურათზე: თბილისი. რუსთაველის პროსპექტის ერთ-ერთი კუთხე. თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

კითხე ჭკუა რომანოვების დინასტიას, — კავკასიაში იმდენი დეკაბრისტი, იმდენი თავისუფლად მოაზროვნე და ჭკვიანი კაცი „გადმოასახლეს“, სულ სხვა მიკროკლიმატი შეიქმნა საქართველოში, მათრახით და ეგზეკუციით მოსული ალიხანოვის გზით მოვიდნენ პუშკინი და ლერმონტოვი, გრიბოედოვი, ჩაიკოვსკი, გორკი...

რუსულმა და ევროპულმა ცივილიზაციამ ახალი სული შთაბერა ძველ ქართულ კულტურას. გამოჩნდა ბრძენი — ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბუმბერაზი — გრიგოლ ორბელიანი და სევდით მოსილი გენია — ნიკოლოზ ბარათაშვილი!

...გაგანია მზიან დღეს, თბილისში მოლბერტს მისჯდომია გოგონა. ბარათაშვილის ძეგლს ხაზავს. კარგად ხატავს, მაგრამ გაკვირვება ვერ გავბედე, ახლა აქსელერაციის გადამკიდე ძუძუთა ბავშვები ფილოსოფოსობენ, ნახატი ვიღას უკვირს.

— გიყვართ ბარათაშვილი? — ვკითხე მხატვარს, წარბშეკრულმა შემომხედა, ასაკმა მიხსნა, თორემ...

— როგორც მესმის!.. — გაუბედავად მიპასუხა მხატვარმა.

— როგორ გესმით?

— როგორც მებრძოლი რეალიზტი!

— ჩემ დროს მებრძოლ რომანტიკოსს უწოდებდნენ ბარათაშვილს!

— მამაჩემიც ასე ამბობს, ვარო ვარდიაშვილი ასე გვასწავლიდაო — გაიცინა გოგონამ (ახლა ახალგაზრდებს ბევრი რამ ჩვენი სასაცილოდ მიაჩნიათ, და გავბრაზდი).

— მაშინ მე არ მესმის რომანტიზმი! — თქვა მოაზროვნე მხატვარმა და ფუნჯი ისე ამოუსვა ტავს. ალბათ, ჩამოსმას მიპირებდა.

— ჩემი აზრით, ქართველებმა დავაბრალეთ ბარათაშვილს რომანტიზმი. ის ყველაფერს რეალურად ხედავს, თანამედროვეობასაც და მომავალსაც, ერთი მიბრძანეთ, ჩემო ბატონო (ზარს მიდებს და თითქოს მცდის), ბარათაშვილის ნათქვამს — „მინდა მზე ვიყო, რომ საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლოო!“ — რა საერთო აქვს რომანტიზმთან?

გამიკვირდა, ეს თვითონ რომანტიკოსი გოგონა რატომ ესხმოდა თავს ასე რომანტიკოსებს?

— მე ბარათაშვილის ეს ძეგლიც იმიტომ მომწონს რომ მოქანდაკემ პოეტურობას ფრთებისა და ცხენების გარეშე მიაღწია, ეს ჩემი თანამედროვე ბარათაშვილია, მოაზროვნე... ერთი ნახეთ, როგორ მოუხდა ამ „მცირე არქიტექტურის“ ანსამბლს, ასე მგონია, თეატრია-მეთქი.!

— აკი აქ იმართება თბილისობა! — ვუთხარი ყოვლისმცოდნე გოგონას

„კომუნისტი“
ოპოზიციური
საკითხები

გამოჩენილი პოეტი—საქართველოს მეგობარი

ჩვენი დროის გამოჩენილ რუს პოეტს ევგენი ევტუშენკოს დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

ევტუშენკო პოეტების იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ომის სიმკაცრე ბავშვობაშივე განიცადა; ობლობა და ათასგვარი გაჭირვება იყო ამ თაობის ხვედრი და ევტუშენკოს პოეზიაში კარგად აისახა იმ ქარიშხლიან დღეებში გამოწრთობილი, ომით დაღდასმული თაობის ფიქრი და ოცნება.

ევტუშენკომ პირველი წიგნებიდანვე მიიქცია ყურადღება: მოვიდა პოეტი, რომელიც მთელი თაობის სათქმელს ამბობდა და, რომელიც ლიტერატურაში მყუდრო თავშესაფარს როდი ეძებდა. იგი ხმამაღლა, გაბედულად წერდა იმაზე, რაც მას და მის ხალხს ტკიოდა, სიმწვავეს არ ერიდებოდა და ისეთ პრობლემებს ეხებოდა, — რომლებიც პასუხის გაცემას თხოულობდა.

ევტუშენკოს პუბლიცისტური პოეზია გამორჩეულად შეიყვარა მკითხველმა და პოეტმა ახალგაზრდობაშივე მოიპოვა, არაჩვეულებრივი პოპულარობა.

მაგრამ პოეტის დიდ ნიჭს მრავალმხრივობაც, ფართო დიაპაზონიც ახასიათებს, იგი პოლიტიკურ პოეზიასთან ერთად ქმნიდა და ქმნის უნატიფეს ლირიკის შესანიშნავ ნიმუშებს. მისი ლექსები ხშირად გვაოცებენ უკიდურესი გულწრფელობითა და ისეთი სიმართლით, რომელიც მხოლოდ აღსარების დროს ითქმის.

ე. ევტუშენკო დღევანდელი რუსული პოეზიის ერთ-ერთი უპირველესი ოსტატთაგანია. თავისი დიდი წინაპრების გამოცდილებაზე დაყრდნობით, არაჩვეულებრივი პოეტური ენერგიითა და ორიგინალური ხედვით მან შექმნა საკუთარი პოეტური სამყარო, რომელიც გვაოცებს ხმათა და ფერთა სიმრავლით და სიმდიდრით. მის პოეზიას დიდი საერთაშორისო რეზონანსი აქვს.

დიდად საინტერესო აღმოჩნდა ევტუშენკოს პროზაც, რომელიც მან უკანასკნელ წლებში გამოაქვეყნა.

პოეტის ფართო ინტერესს მოწმობს მისი მოღვაწეობა კინოში და მხატვრული ფოტოგრაფიით გატაცება.

ე. ევტუშენკო ერთი პირველთაგანია მისი თაობის პოეტებს შორის, რომელმაც თავისი დიდი წინაპრების ტრადიცია საქართველოსთან მეგობრობაშიც განაგრძო.

საქართველო ევტუშენკოსთვისაც იქცა შთაგონებად და მან არა ერთი საუკეთესო ლექსი გამოხატა მისდამი გულწრფელი სიყვარული.

პოეტი დიდი ხანია პირადი მეგობრობით, ძმური სიყვარულის უნაზესი ძაფებითაა დაკავშირებული ქართველ პოეტებთან. იგი ჩვენი ჭირისა და ლხინის მონაწილეა და მას არაერთხელ დაუმშვენებია თავისი ბრწყინვალე გამოსვლებით.

მაგრამ ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის გაწეული შრომით ძნელად თუ ვინმე შეედრება მას დღევანდელ რუსულ პოეზიაში.

ე. ევტუშენკო უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებულ ქართული ლიტერატურის საბჭოს. აქ იგი მოვიდა ჩვენი ლიტერატურის ისეთი ავტორიტეტული მეგობრების შემდეგ, როგორიც ნ. ტიხონოვი და კ. სიმონოვი იყვნენ. იგი ამ საქმესაც მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა და აქაც მისთვის ჩვეული ენერგია და ენთუზიაზმი გამოამჟღავნა.

ევტუშენკო ჯერ მხოლოდ 50 წლისაა. მან უკვე ბევრი და მნიშვნელოვანი შექმნა, მაგრამ დიდი გზა, რომელსაც ის ადგას კიდევ მეტს გვპირდება.

ჩვენ გვჯერა, რომ პოეტი კიდევ ბევრი შედევრით გაამდიდრებს ჩვენს პოეზიას. ამ რწმენით ვულოცავთ მას ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ახალ-ახალ დიდ გამარჯვებებს მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის სასახელოდ.

გრიგოლ აბაშიძე.

მამაცთა კანონით

სარდალმა დაჯილდოვა

ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ო. თ. კულიშევმა საპატიო სიგელით დაჯილდოვა და მოკლევადიანი შეებულება მისცა სამშობლოში გამგზავრებით ვეხის წოთელდროშოვანი, სუვოროვის ორდენოსანი გვარდიული სასწავლო მოტომსროლელი პოლკის მესამე სასწავლო ასეულის ათეულის მეთაურს უმცროს სერჟანტ მ. ჟარკოვს. კომკავშირელმა თავი გამოიჩინა საყარაულო სამსახურის შესრულების დროს.

ასეულის მეთაურმა გვარდიის კაპიტანმა ი. ლეკარევმა გვარდიელებს გააცნო სახელგანთქმული ნაწილის ტრადიციები, ესაუბრა გუშაგის სიფხიზლესა და განსაკუთრებულ უფლებებზე.

გვარდიის უმცროსმა სერჟანტმა ჟარკოვმა მეთაურის ყოველი სიტყვა დაიხსომა. და როცა უცნობი ცდილობდა დასაცავი ობიექტის ტერიტორიაზე შეპარულიყო, გვარდიელმა ყველა ზომა იხმარა, რათა მისთვის ხელი შეეშალა.

ჟარკოვი მოქმედებდა წესდების მოთხოვნათა მკაცრი დაცვით.

• •

ცეცხლმა შკაფ დაიხია

ბოგოქარ ხანძარს თავდადება და ოპერატიულობა დაუპირისპირეს უზბეკეთის, ლიტვის, რუსეთის მკვიდრმა მეომრებმა, როცა ისინი ქართველი გოგონას სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ.

...თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მდიდოდა მეკავშირეთა ჯგუფი, როცა მათმა მეთაურმა პრაპორშჩიკმა ი. შაბანოვმა პირველი სართულის ფანჯარაში კვამლი შეინიშნა. მეომრებს სულ რამდენიმე წამი დასჭირდათ, რომ კარები შეემტვრიათ და ბინაში შესულიყვნენ, სადაც უკვე იწოდა ავიჯი და ფარდები.

ხანძრის ქრობას შეუდგნენ, და უცბად რომელიღაც შემოსწრებულმა მეზობელმა უთხრა, მაჩაბლების ბინაში ოთხი წლის გოგონა უნდა იყოსო. რიგიმმა რიხიანად ერმატოვმა აუტანელი სიცხისაგან სახე მოიჩრდილა და მეორე ოთახში შეავრდა, დაათვალიერა კვამლით სავსე ყველა კუთხე, მისწი-მოსწია ცეცხლმოდებული ავეჯი და, ბოლოს, მაგიდის ქვეშ იპოვა გულწასული გოგონა. სათუთად აიყვანა, გულზე მიიხუტა, რომ ცეცხლის ალი აერიდებინა და მეზობლებს გადასცა ბავშვი.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის კავშირგაბმულობის ჯარების უფროსმა კავშირგაბმულობის გენერალ-მაიორმა პ. მალომანმა მამაცი მეომრები წაახალისა. რიგით რ. ერმატოვს კი ხანმოკლე შვებულება მისცეს და სამშობლოში გაემგზავრა.

მაიორი
ი. პროკოფიევი.
(ხაჭინფორმი).

თ. ხუციშვილის ნახატები.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაბუბეგია.

პროგრესი, ჰიპოთეზა, ფაქტი

დაავადებათა სტატისტიკა

საფრანგეთი. მოსახლეობის სიკვდილიანობის 37,4 პროცენტი ამ ქვეყანაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებაზე მოდის. შარშან, მარტო ინფარქტის მიზეზით, ქვეყანაში გაცდა 21 მილიონი საბუშაო კაცდღე.

1982 წელს საფრანგეთში გარდაიცვალა:

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებით — 200.000,

— ალკოჰოლიზმით — 70.000,

— წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევისაგან — 3.200,

—თამბაქოს წევის გამო — 70.000,

— კიბოს დაავადებით — 120.000 ადამიანი.

საამწყობო ხაზი უმუშოდ

იაპონია. ფირმა „ტოიოტამ“ თავის ერთ-ერთ საავტომობილო ქარხანაში შექმნა ხაზი, სადაც, მუშები მთლიანად შეცვალეს 15 რობოტით.

ხარისხის კონტროლსა და დეტალების დახარისხებასაც რობოტები ახდენენ, რობოტები 45 წამში იმდენ დეტალს აწყობენ, რამდენსაც 20 მუშა ასწრებდა ორი ცვლის განმავლობაში.

ოფიციალური მონაცემებით, იაპონიის საავტომობილო და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში ყოველწლიურად ჩრობოტები ცვლიან მუშათა 20 პროცენტს.

ქვლის ტვინის გადანერგვა ლეიკემიის დროს

ინდოეთი. პირველად წარმატებით განხორციელდა ძვლის ტვინის გადანერგვა ლეიკემიით დაავადებული ცხრა წლის გოგონასთვის.

ეს გადანერგვა ხელს უწყობს სისხლის კიბოს უჯრედების დაშლას ინტენსიური მედიკამენტური და სხივური თერაპიით და დონორის ძვლის უჯრედთა შეგუებას. გოგონასთვის გადასანერგი ძვლის ტვინი მის 7 წლის ძმას აუღეს.

მისადგამი ტელეფონის აპარატისათვის

ბრაზილია. ფირმა „სონინტელმა“ შექმნა პატარა მისადგამი ტელეფონის აპარატისათვის, რომლის შემფოთებითაც შეიძლება დადგინდეს, თუ რომელი აბონენტი გვრეკავს. ტელეფონის ზარი რომ მოგვესმენა, თითს დაავჭერთ ღილაკს და მისადგამის ეკრანზე გაჩნდება იმ აბონენტის ნომერი. გარდა ამისა, როცა შინ არა ვართ, მისადგამის დამხსომებელი მოწყობილობა ჩაიწერს და დაგვახვედრებს იმ აბონენტთა ნომრებს, ჩვენი შინ არყოფნისას რომ გვრეკავდნენ.

ჯიბის ლაბორატორია

ბულგარეთი. სტაროზაგორსკის ახალგაზრდა ტექნიკოსთა საზოგადოების დამომგზიბლებმა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთათვის შექმნეს „ჯიბის ლაბორატორია“, რომელიც 0,5 კილოგრამს იწონის. ამ ხელსაწყოს შემწეობით, აგრონომს შეუძლია სწრაფად მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა სიღრმეზე ნიადაგის ტენიანობისა და ტემპერატურის შესახებ, შეუძლია განსაზღვროს ქარის სიძლიერე და აგრეთვე მარცვლისა და სასილოსე მწვანე მასის ტენიანობა.

მცურავი სასტუმროები

ფეიცია. ფირმა „კონსეიფი“ ამირეს სამი მცურავი ტურისტული სასტუმროს აშენებას. ყოველი სასტუმრო კაიუტების კომპლექტს წარმოადგენს.

გემ-სასტუმროების ექვს გემბანზე განლაგდება 300 ორადგილიანი კაიუტა, ორ გემბანზე — რესტორნები, კონფერენც-დარბაზები, საცურაო აუზი და სხვა. თითოეული მცურავი სასტუმროს აგება 125 მილიონი კრონი (18 მილიონი დოლარი) ჯდება.

უნიგბელი შაქარი

იაპონია. მეცნიერებს სულ უფრო და უფრო მეტ შეშფოთებას ჰგვრის ადამიანთა მიერ შაქრის ჭარბი მოხმარება. დიდი ხანია, ჩვენ ვეკარგებით ეძებენ ნივთიერებას, რომელსაც შაქრის თვისება ექნება, მაგრამ ჯანმრთელობისათვის უვნებელი იქნება.

იაპონიაში სინთეზირებულია შენაერთი, რომელიც სიტკბოთი გლუკოზას აჭ ჩამოუვარდება, მაგრამ გასუქებას არ იწვევს. აკრილის სიმჟავიდან და ხის მერქნიდან მიღებული ნივთიერებისაგან მეცნიერებმა შექმნეს გლუკოზის მსგავსი პროდუქტი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით ულრმესი მადლობა გადავუხადო პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მკითხველებსა და ამხანაგებს, რომლებმაც დაბადების 60 წელი მომილოცეს.

თენგიზ ჯანგულაშვილი.

ქართული ხალიჩების პალიტრა

ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის კოლექტივმა ხუთწლედის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა სამი ათასი ხალიჩა. პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ამას ხელი შეუწყო საწარმოს ტექნიკურმა განახლებამ. ლენტური საქსოვი ჩარხები შეიცვალა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიღებული პროგრამიული მართვის მანქანებით. ისინი ძველებთან შედარებით ოთხჯერ უფრო მწარმოებლურია. კომბინატმა წარმატებით შეასრულა გაზრდილი პროგრამა იმის მიუხედავად, რომ მუშათა რიცხვი ექვსი პროცენტით შემცირდა.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მეოხებით გაუმჯობესდა ხალიჩების ხარისხი. ისინი უფრო რბილი და ხაოიანი გახდა. აშკამად ნაწარმის 83 პროცენტს პირველი ხარისხით უშვებენ. რვა დასახელების პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

მხატვრებმა სურათებს საფუძვლად დაუდეს ეროვნული ორნამენტები, ხალხური ზღაპრების მოტივები, მთის პეიზაჟის ელემენტები. ცხაკაიას ხალიჩებზე დიდი მოთხოვნაა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

(საქინფორმი)

ფიგნის თარო

გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა II და VI ტომები

გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომიანი კრებულის II და VI ტომები (მთავარი რედაქტორი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ჩხეიძე).



უკვე გამოშვებულია და ხელმოწერებს ელოდებიან 12-ტომეულის პირველი, მეორე, მესამე („ქართული მეცნიერების ისტორია“), მეექვსე („ქართული სამართლის ისტორია“, ნაწილი პირველი) და მერვე („ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“) ტომები.

სტამბაშია მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე („საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ და „ქართული სამართლის ისტორია“ — დასასრული) ტომები.

დანარჩენ ტომებზე მომდინარეობს სარედაქციო მოსამზადებელი მუშაობა.

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომიანი კრებულის გამოცემას ერთობლივად ახორციელებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობები. (საქინფორმი).

ძველი გაზეთების ფურცლებიდან

ყოველ ზაფხულს უჩიოდნენ

„ყოველ წელიწადს ვუჩივით, სიცხეებს და თითქმის ყოველ წელიწადს ვამბობთ, ამისთანა სიცხეებს ჯერ არ მოვსწრებივართო“, წერდა გაზეთი „დროება“ 1883 წლის 22 ივლისს. ადამიანს ხან ზაფხულის სიცხეები და გვალვები აბეზრებდა თავს, ხან გამუდმებული წვიმები და ხან კიდევ ზამთრის სუსხი.

ცნობები დიდი სიცხეების შესახებ უამრავია გასული საუკუნის ქართულ პრესაში. ასი წლის წინათ დიდი სიცხეები ყოფილა თბილისსა და ქუთაისში, სადაც მზის დაკვრის შემთხვევებიც ყოფილა. 1891 წელს დიდი სიცხეები აღინიშნა აჯარაში. ველისცხეს მთელი თვე წვიმა არ ღირსებია. დიდი გვალვა აღინიშნა 1894 წელს თელავში, ვაქირში, სენაკში, აფხაზეთში. მომდევნო წელს დაიგვალა გურია და იმერეთი. მომდევნო წლებში დიდი გვალვა იყო 1898 წლის ზაფხულში, კერძოდ, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭაში. საშინლად დაცხა თბილისში. **„დიდის სიცხეების გამო ტფილისში უკანასკნელ კვირას ხუთს კაცს დაჰკრა მზემ თავში და ავად გამხადა“** („ივერია“, 1898 წ. 14 ივლისი).

ცხელი ზაფხული ეწვია საქართველოს 1899 წელს. სიცხეებმა დუშეთისა და სიღნაღის მაზრებში ციება გამოიწვია. ცხელოდა თბილისში. პაპანაქება სიცხე იყო თელავში, ქუთაისში, საჩხერეში, სადაც თვეობით არ მოსულა წვიმა. აუტანელი სიცხე იყო სენაკის მაზრაში. **„ისეთი გოლვაა, რომ გარეთ კვერცხი შეიწვებაა“,** („ივერია“, 1899 წ. 14 ივლისი).

კაცობრიობამ საუკუნეების მანძილზე მეტად უჩვეულო სიცხეები გადაიტანა, რომელიც აღუსხულია ისტორიაში. 1890 წელს გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობა იმ ცხელი ზაფხულებისა, რომლებიც ყოფილა ევროპის ქვეყნებში. ასეთი ცნობები ხშირად ქვეყნდებოდა ევროპისა და რუსეთის გაზეთებში. აი ეს ცნობაც: „627 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ ისე ცხელებულა, რომ ყველა მდინარენი დამშრალა და ხალხი იხოცებოდა სიცხისაგან. 879 წ. არ შეიძლებოდა მუშაობა მინდორში. 993 წ. კაკალი ისე იხრაკებოდა როგორც გახურებულ ბუხარში. 1000 წელს საფრანგეთში ამოშრა ყველა მდინარენი. ჰაერში საშინელი სუნი და სიმყრალე იდგა დახოცილის თევზებისაგან. საქონელი იქლიტებოდა წყურვილისაგან. 1014 წ. ელზას-ლორენში დაშრა ყველა მდინარენი და წყარონი. 1132 წ. დაშრა რეინი, 1152 წ. ისეთი პაპანაქება ყოფილა, რომ ქვიშაში შეიძლებოდა კვერცხის შეწვა. 1227 წ. დიდძალი საქონელი და ხალხი გაიჟლიტა სიცხით. 1903 წ. მდინარე რეინი და დუნაი ისე დაპატარავდა, რომ ხალხი გადიოდა ფონში ფეხით. მდინარე სენა და ლუარა გაჰკრნენ დედამიწის პირისაგან. 1556 წელს მთელს ევროპაში ყოფილა საშინელი გოლვა. 1614 წელს საფრანგეთში და თვით შვეიცარიაში დაშრა ყველა წყარონი. საშინელი სიცხეები ყოფილა აგრეთვე 1724, 1746, 1756 და 1811 წლებში („ივერია“, 1890 წ. 27 მაისი).

ამ ცნობას შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ევროპის ქვეყნებში მეტად ცხელი ზაფხულები აღინიშნა აგრეთვე 1646, 1679, 1701, 1715, 1803, 1846, 1859, 1860, 1869, 1874, 1886-87, 1890, 1899, 1900, 1901 წლებში.

ს. ნუცუბიძე.

ყაბაზი

სატურნირო ორბიტა

სპარტაკიადა. გრძელდება საბჭოთა კავშირის ხალხთა მერვე სპარტაკიადის ტურნირები ხელბურთში, მრავალდღიან ველობოლაში, აკადემიურ ნიჩბოსნობასა და ჭადრაკში. საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები, რომელიც მესამე ქვეჯგუფში ასპარეზობს, პირველ ტურში შეხვდა ბელორუსიის ნაკრებს. დასრულდა მხოლოდ სამი პარტია — დაწინაურდნენ ბელორუსები — 2:1. ხუთი პარტია გადაიდო, რომელთაც მოჭადრაკეები დღეს დაამთავრებენ. გუშინ, მეორე ტურში საქართველოს ნაკრები ისვენებდა. გთავაზობთ პირველი ტურის სხვა შეხვედრათა შედეგებს. პირველი ქვეჯგუფი: უკრაინა-თურქმენეთი — 4:1 (3), მოლდავეთი-აზერბაიჯანი — 2,5:1,5 (4), ლატვია-ყირგიზეთი — 3,5:1,5 (3). მეორე ქვეჯგუფი: მოსკოვი-ტაჯიკეთი — 6:1 (1), ლენინგრადი-ლიტვა — 3,5:2,5 (2), უზბეკეთი-უაზბესეთი — 1:3 (4). მესამე ქვეჯგუფი: რსფსრ-სომხეთი — 2,5:1,5 (4) ესტონელები ისვენებდნენ.

გუშინ ტუალში გამართულა ორი მატჩით დაიწყო სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირი. როგორც იცით, ამ ტურნირში ახალგაზრდა, 1963-1965 წლებში დაბადებული სპორტსმენები ასპარეზობენ. ოთხ ქვეჯგუფად დაყოფილი გუნდები 25 ივლისამდე მოსკოვში, რიგაზაში, ტულასა და ივანოვოში გამართავენ წინასწარი ეტაპის შეხვედრებს. საქართველოს ნაკრები **მეოთხე,** ივანოვოს ქვეჯგუფში ითამაშებს ლენინგრადის, ტაჯიკეთისა და მოლდავეთის ნაკრებ გუნდებთან. **პირველ** ქვეჯგუფში (მოსკოვი) ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის, უაზბესეთის, ყირგიზეთისა და რსფსრ-ის გუნდები, **მეორეში** (რიაზანი) — უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, **მესამეში** (ტულა) — ბელორუსია, ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, თურქმენეთი. ტურნირის შემდგომ ეტაპზე 8 საუკეთესო გუნდი შექმნის ორ ნახევარფინალურ ჯგუფს, რომელთაგან გამარჯვებულნი 3 აგვისტოს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ფინალურ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

ქართულ გვარებს, ჩვენი წარმომავლობა-ვინაობის მაჩვენებელ ამ ოფიციალურ სიტყვებს, უადრესად მრავალფეროვანი ფორმა და შინაარსი აქვთ. მათი უმრავლესობა ხრულად გასაგებ ფუძეებს ემყარება, შედგენილია წინაპრის სახელისა და სპეციალური დაბოლოებისაგან (გიორგაძე, შოთაძე, დავითაშვილი, იაშვილი, ბექაური, რატიანი, გრიგოლია...); ზოგი ხელობა-პროფესიის, თანამდებობის ტერმინებს, გეოგრაფიულ სახელებს, ხალხთა, ტომთა სახელწოდებებს (ეთნონიმებს) გვიჩვენებს (ასეთივე დაბოლოებებით) და სხვ.

ამათთან ერთად ხშირად ვხვდებით გვარებსაც, ხსენებულ წესს რომ არ ექვემდებარება და არასტანდარტული, ორიგინალური სახით გამოიყურება. სწორედ ასეთი გვარსახელების რაობა აინტერესებთ ჩვენი გაზეთის იმ მკითხველებს, რომლებმაც შეკითხვებით მოგვმართეს. ვუპასუხებთ ზოგიერთ მათგანს.

ოდიშარია. ამ გვარსახელის შინაარსი მაშინვე გახდება საცნაური, როცა გავითვალისწინებთ, რომ დაბოლოება — **არ** მეგრულ ენაში იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც ქართულში — **ელ,** აჩვენებს ადამიანის სადაურობას (თბილისელი, გორელი).

რაკი ვიცით, რომ სამეგრელოს ძველი სახელი არის ოდიში, ცხადი ხდება, რომ ოდიშარი ოდიშელს ნიშნავს (არის გვარი ოდიშელიძეც), ანალოგიური აგებულების გვარები ძველ ქართულ ტექსტებშიც გვხვდება. ცნობილ ხუროთმოძღვართა ბექასა და ბეშქენის გვარი იყო ოპიზარი. ისინი წარმოშობით იყვნენ იმ სოფლიდან, რომელსაც ოპიზა ერქვა (ახლაც ენობილია ოპიზის სახელგანთქმული ტაძარი).

თავის მხრივ ოდიში წარმომდგარია წარმართული ღვთაების სახელის **ოდი-საგან,** რომელიც მოწათმოქმედებისა და მოსავლის ძლიერ მფარველად ითვლებოდა. როგორც ენათმეცნიერმა ჟუკოლ ბერიძემ გაარკვია, ცნობილი შეგრული **ხალხური** სიმღერა „ოდოია“ ამ ღვთაების სადიდებელი ჰიმნი იყო, ოდიში კი ოდის საკულტო ადგილზე მიუთითებდა. ჩანს, ოდის კულტის მსახურება საქართველოს მარტო ერთი გეოგრაფიული კუთხით არ იყო შემოსაზღვრული. მას საერთო ქართული ხასიათი ჰქონდა, რაზეც რამდენიმე ფაქტი მეტყველებს.

ცნობილია, რომ ღვთაებათა სახელებს ადამიანებსაც არქმევდნენ და მამაკაცის სახელი **ოდი** ოდიშვილმა შემოგვინახა. მისი ენინობითი ფორმებიც არის ჩაქსოვილი რამდენიმე გვარში, ესენია: ოდიკაძე (ოდიკა), ოდიშვილი (ოდია), და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ოდელაძე, ოდილაძე და ოდილავაძე, რომლებშიც ფუძეებად ოდელა და ოდილა გამოყოფილა, ისინი ქართულ ხალხურ სიმღერებში დადასტურებული მისამღერი სიტყვებია, დღეს მნიშვნელობის უქონელნი, მაგრამ ოდესღაც ღვთაებისადმი მიმართვის გამომხატველნი.

თქმულს ორი ფაქტიც უნდა დავუმატოთ: პროფესორი ი. ტაბაღუას მითითებით, ოდოია ბასკურად პატარა ღრუბელს ნიშნავს. ეს მნიშვნელობა კი უშუალოდ უკავშირდება მიწათმოქმედებისა და მოსავლის ცნებებს: ჯავახეთში სოფელ საროს მიდამოებში არის ნასოფლარი და მისი მიმდგომი ყანები, რომლებსაც ოდისებს უწოდებენ... ოდისი ოდიშის ქართული შესატყვისია და საფიქრებელია, ამ სიტყვით სახელდებულ ადგილზე ოდის ღვთაების საოლაცავის (ტაძრის, კერპის) არსებობა .ფეოდალიზმიზოდეს.

ოთხმეზური. ერთი შეხედვით ამოუხსნელად გვეჩვენება გურიაში დადასტურებული ეს გვარი. იგი რთული სიტყვაა და მის პირველ ნაწილად თუმცა რიცხვითი სახელი **ოთხი** ისმის, მაგრამ ამოსაცნობია მეორე ნაწილთან ერთად მთლიანობაში მოცემული შინაარსი. ამისათვის საჭიროა გავიხსენოთ ძველ ქართულში არსებული სპარსული წარმოშობის ტერმინი მიზდი, რაც, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ნიშნავდა ასაღებს, სარგოს, ქირას.

„ვეფხისტყაოსანში“ ქცევდებით მიზდისაგან ნაწარმოებ ფორმას — **დამიზდებულს.** ავთანდილმა ზღვათა ქალაქ გულანშაროსთან მეკობრეებისაგან დაშინებული ვაჭრები რომ გადაარჩინა, იქვე დაივანა, თავი მათ: უფროსად გამოაცხადა და მოსაჩვენებლად ვაჭრობა დაიწყო. მაშინ ვაჭრებმა ამოალაგეს დიდძალი გასაყიდი საქონელი, რომელს მოსატანად „მთასხნეს კაცნი მზიდავნი დამიზღებული დრამითა“. გამოთქმა „დამიზღებული დრამითა“ ნიშნავს ფულით დაქირავებულ კაცებს (მზიდავთ).

ირკვევა, რომ მიზდი ხარკს, ბეგარას და გადასახადსაც აღნიშნავდა, ხოლო მიზდური (იგივე მემიზდური) კი გადასახადის, მიზდის ამღებს.

თუ ვაითვალისწინებთ, რომ ფეოდალურ საქართველოში მრავალ გადასახადთა შორის ყმა გლეხი ეგრეთ წოდებულ კოდის პურის გადასახადსაც იხდიდა და გარკვეულ შემთხვევაში მიწაზე დაწესებული იყო მისი გადახდა ყოველწლიურად 4 კოდის რაოდენობით, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ გადასახადის აკრეფს ოთხმიზდური უნდა რქმეოდა, რითაც მითითებული უნდა ყოფილიყო ოთხი საწყაო ერთეულით განსაზღვრული გადასახადის ამღების თანამდებობრივი მოვალეობა. ეს დოკუმენტურადაც დასტურდება; თამარ მეფის მიერ გელათის ტაძრისადმი ბოძებულ 1189 წლის სიგელში ჩამოთვლილ სამეფო ხელისუფალთა, ერისთავთ ერისთავთა, აზნაურთა, ციხისთავთა, ნაცვალთა შორის ნახსენებია აგრეთვე ოთხმიზდური (თ. ყორდანიას წაკითხვით: ოთხმეზდური).

როგორც ჩანს, გურულ მეტყველებაში ოთხმიზდურს რამდენიმე ბგერითი ცვლილება განუცდია და ჩამოყალიბებული როგორც ოთხმეზური. იგი, როგორც გვიორკვა, ძველი თანამდებობის ტერმინიდან მომდინარეობს, ისე, როგორც სხვა ასეთივე გვარები, მაგალითად, მამასახლისი, მდივანი, მეღვინეთუხუცესი, ერისთავი, ათაბაგი, ჯანდიერი, ჯაბადარი, ციხისთავი და სხვ.

ყანდაჩვილი. ყახეთის (ჩაიონებსა და ქართლში (სოფ. დიღომში) მცხოვრებთა ამ გვარს, საფუძ�eულად უდევს ძველი საკუთარი სახელი ყანდა, რომელიც წარმომდგარია ზოგადი მნიშვნელობის სიტყვისაგან ყანდი. იგი ქართულში შემოსულია არაბულიდან. არაბულს კი თავის მხრივ, როგორც ვარაუდობენ, ინდურიდან უნდა მიეღო (წარმოითქმებოდა როგორც „კანდ“). მისი პირვანდელი მნიშვნელობა ლურჯშის შაქარს უკავშირდება. დ. ჩუბინაშვილს ყანდი განმარტებული აქვს როგორც „დაწმენდილი თეთრი შაქარი“. უძველესი დროიდან ამ სიტყვას, როგორც ჩანს, დიდი გავრცელება მოუპოვებია, შესულა მრავალ ენაში და სხვადასხვა მნიშვნელობა შეუძენია. გარდა ძირითადისა, გადატანით კიდევ ორი მთავარი შინაარსი მიუღია — ერთი მხრივ, სიტკბოს სინონიმად და, მეორე მხრივ, სითეთრის, ბრწყინვალების, სიკაშკაშის გამოხატველად ქცეულა.

„ვეფხისტყაოსანში“ იგი პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი. თამარ მეფის საქებრად მიმართულ სტროფში შ. რუსთაველი ამბობს: „მას არა ვიცი შეეკადრო შესხმა ხოტბისა შერისა, მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მი, შერისა“. ამავე დანიშნულებით (ე. ი. შაქრის მნიშვნელობით) ვხვდებით ყანდს დ. გურამიშვილის ნაწარმოებშიც: „შენ ყოფილხარ მწარე ზნეკაკი, მე მეგონე ტკბილი ყანდი“.

ლათინურში კანდი, კანდეო, კანდიდუმ, ყველა საერთოდ თეთრს, სპეტაკს და ბრწყინვალეს უკავშირდება, ამავე მნიშვნელობისაა აგრეთვე კანდიდი და კანდიდატი. პირველი ამათგანი საკუთარი სახელია (ნიშნავს სპეტაკს, კაშკაშას), კანდიდატი კი ძველ რომში თანამდებობისა თუ ხარისხის მაძიებელ სწავლულ კაცს აღნიშნავდა, რომელსაც ტრადიციისამებრ თეთრი, ქათქათა ტოგი (წამოსასხამი) ემოსა.

სიტყვათა ანალოგიურ სემანტიკურ ჯგუფში ექცევა აგრეთვე ბერძნული კანდელი (სანთელი, სანათი) და საეკლესიო თანამდებობის ტერმინი კანდელაკი (მნათე), რომელიც ჩვენში გავრცელდა ასევე, ანალოგიურ ენობრივ ფორმებში.

ქართულ სინამდვილეში ყანდას პოპულარობაზე მიუთითებენ მისგან ნაწარმოები საალერსო-კნინობითი ფორმების არსებობაც: ყანდია, ყანდინა. ისინი შესაბამისმა გვარებმა ყანდიაშვილმა და ყანდინაშვილმა შემოგვინახეს. არსებობს სოფლის სახელი ყანდაურაც (საგარეჯოს რაიონში), რომელიც პირველად გვარი უნდა ყოფილიყო (ამგვარი წესი ადამიანთა სახელების ტოპონიმიზაციისა კარგად არის ცნობილი. ასეა წარმოშობილი გეოგრაფიული სახელწოდებანი. მაგალითად, ბადიაური, გუჯაბაური, მახათაური, მახინჯაური, ჩოხატაური და სხვ.).

უკვე აღვნიშნეთ, რომ ყანდამ როგორც საკუთარმა სახელმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მის ნაცვლად შაქარა და შაქრო იხმარება, რომელიც შაქარაშვილშიც არის ჩაქსოვილი. ასე რომ, ძველი ყანდაშვილი ახალი სიტყვითა და ახალი შინაარსით მოგვევლინა.

მკითხველი თუ ქართულ განმარტებითს ლექსიკონში ჩაიხედავს, იქ სიტყვა ყანდის მეორე მნიშვნელობასაც გაეცნობა, როგორც თანაბრად ყანდი არის დამპალი ადგილი (ხეზე), სიდამპლე და სხვ.

რა ურთიერთობაშია ეს გაგება ჩვენ მიერ განხილულ ყანდის ძირითად მნიშვნელობასთან, ამის გარკვევა საკითხის ცალკე მიმოხილვის საგანს შეადგენს.

ი. მაისურაძე.
ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

რაჭა. ღეგის გადასასვლელზე.

ა. ჩარკვიანის ფოტო.

ტელევიზია

17 ივლისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — კონცერტი. 10.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.30 — „მაღი